7 (19) აგვისტოს 1869. № 32. მეოთხე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**გაზეთის ფასი**

| | | |
|---|---|---|
| | Გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | Გაუგზავნელათ: |
| ერთის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევარის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქ-შვილის და კომ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.**

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.


### რედაქციის განცხადება.

უმოკრჩილესად ვთხოვთ „დროების“ ხელის მომწერლებს—დაუყოვნებლივ აცნობონ რედაქციას-როცა სადგომს გამოიცვლიან და ამასთანავე გამოგზავნონ თავიანთი ახალი ადრესი; თორემ რედაქცია არ აგებს პასუხს, თუ რომელიმე ხელის მომწერს დროზე არ მიუვიდა გაზეთი.—

**რედაქციისაგან ძორჩილესათ სთხოვს იმ ხელის—მოწერ[illegible]ებს, რომელთაც აქამდინ გაზეთის [illegible] არ შემოუტანიათ, ახლა გამოგზავნონ ის „დროების“ რედაქციის სახელზე.—**

### შინაარსი:


შინაგანი ცნობები.—რუსეთის ამბები.—პოლიტიკა: ავსტრია და შვეიცარია.—ფრანცია.—ესპანია.—ტელეგრამები.—რამდენიმე სიტყვა მდაბიო ხალხის აღზდაზე და განათლებაზე.—სხვა და სხვა ამბავი.—ქუთაისის შემოსავალ-გასავალი 1869 წლისა.—ფოჩტა-ტელეგრაფი.—საჯარო ცნობები.—საბიბლიოგრაფიო ცნობა.—ვაჭრის მუსაიფი.—ცნობები მთიულებზე.—


### ვაჭრის მუსაიფი

#### „ბამლეტზე“ მაიმუნების მათამაშებელთან.

(ბარბუნოვიდგან).

აბა, ნემენცო, პატივი გვეცი, მოგვართვი რიაბინოვკა,—მაგრამ კარგი მოზდილი სტაქნით კი, აი; სქელი შუშით კი არა თხელი სტაქნით და კაი ზომისა კი იყოს, გაიგე? რომ დალევის მერე ჩემი გული არ დარჩეს თქვენზე ნაკლულათ. კარგი რამ არის ეს ოხერი რიაბინოვკა, ყველა ჭირის წამალია; თუ სმა მოგინდეს როდისმე—რიაბინოვკის მეტს ნურას დალევ—ამიტომ რიაბინოვკა არის; შენი მაიმუნებიც კარგნი არიან, ტიატრიც კარგი გაქვს; მაგრამ პეტერბურგთან კი, სადაც ნამდვილი აქტიორები თამაშობენ,—შორს არის, იმიტომ მართალია შენი მაიმუნები კაცს თუმცა ბევრში ებაძებიან, მაგრამ მაინც მხეცებია, რა შეგიძლიან მოსთხოვო? და ნამდვილი აქტიორი კი ღონეა! ღონეა, ძმაე, როგორც გინდა გადააბრუნე. ყველაფერს დაგიხატამს: კიდეც მოკვდება, აღდგება კიდეცა და ისევ ისეთი კაცი გახდება. აი მე შენ გეტყვი პეტერბურგის ტიატრის ისტორიას: მაშინ მე პირველათ წავსულვიყავი. მე და ჩემი მეზობელი ყველიარში ქვიფს ვეწოდით. დავდივართ ნევის პროსპექტზე და სწორეთ მარჯვნივ ალექსანდრეს ტიატრი კი არის. ეს რას ნიშნავს ივანე მეთქი: (მაღლა ცხენები ჰქონდა გაკეთებული).—ეს ტიატრიაო, სადაც ნამდვილი აქტიორები თამაშობენო. რო გვინდოდეს ავალთ, მეთქი, ამ ტიატრზე; რატომაო, ექვსი შაური ხომ არ დაგვაქცევსო;—ეგ არაფერი მეთქი, მოდი ცოტა ვაშლი კი ვიყიდოთ, პირს მაინც გავისველებთ, მეთქი. მივედით იმ პრიკაზჩიკთან, რომელიც ბილეთებსა ჰყიდდა და უთხარი, აბა, ძმაო, ორი ბილეთი მოგვე, მაგრამ იაფებისა მეთქი; კარგიო, სამი აბაზი ეღირებაო. არა მეთქი, ძმაე, ცოტა ნაკლები აიღე, ხომ იცი მე პირველათ მივდივარ ტიატრზე, მეთქი; თუ ღმერთი გწამს ჩემგან ის ფასი აიღე, როგორც შენ გიყიდნია, რადგანაც მე ახალი მოსული ვარ არ შეიძლებაო, თუ არ გინდა წადიო. რას ვიქმოდით, მივეცით სამი აბაზი და წავედით.—ქიბეზე ერთი ვიღაც კუკივით მორთული კაცი დაგვხვდა; თქვენ სად მიხვალთო? შენ რა გინდა მეთქი? ვერა ხედამ ზევით მივალთ? ერთი კი შემოგვხედა და გაგვიშვა. წავედით; ვიარეთ-ვიარეთ, ვიარეთ, თითქმის შვიდი ეტაჟა გავიარეთ; ღმერთო რამსიგძე კიბეები იყო! ჩვენ ქალაქში სამრეკლოს კიბე მაღალია, მაგრამ ის უარესი იყო!.. ავედით სულ მაღლა კიბეზე; ღმერთო, თითქო ბუხრიდგან გამოვძვერით; ზედ ტყაპუჭი მეცვა და ზეიდგანაც თულუფი დავიხურე; რაო, მკითხავს ივანე, ხომ არ დაიღალეო? დავიღალე მეთქი, ძმაო; მაშ თულუფი მაინც მოისხენო;—დიაღ სამი თუმანი თულუფში მიმიცია, რო დამეკარგოს მერე? ეგ კი არა, ხალვათობისათვის წაღებს კი გაეიხდი და გავიხადე ისე, რომ ვერავინ დამინახა. ვნახო ლამფა ჩამოუშვეს,—ზედ ათასი მილიონი სანთლები ბჭყვინვარებდნენ; მერე მუზიკა შეადგინეს, ყველას თითო მუზიკა კი ეჭირათ; ერთმა იმოდენა ჭიანური მოიტანა, რომ თავისზე დიდი იყო და ქამანჩა ამ მკლავზე მსხვილი; რო გაარტყამდა სიმებს თითქო ზარბაზანი გაისროლესო; კანკალი აგიტანდა. ვნახოთ უფალი ქარატიგინი ბამლეტათ გამოდის და იმისი ცოლი კი დედათ ეჩვენება, და ერთი კაცი კიდე აჩდილს ადგენს, მითამ ბამლეტის მამა არისო, და ხელს უქნევს აქ წამოდიო! წადი, მშობელო. შენს ადგილზე, მე უშენოთაც საქმეს არ წავახდენო, ეუბნება გამლეტი. მერე დედა მოდის და ეუბნება: როგორი შვილი ხარ, რომ პატივს არა მცემო? ახ დედაჩემო, დედაჩემო, რა გინდა ჩემგანაო! ორი კვირა არკია ბაშმაკები გიყიდე და ეხლა ახალსა თხოულოფო, განა ეგ რიგიაო? იმისი კურო კედლის უკან ხალიჩას ამოფარებოდა. ბამლეტმა გაიგო ეშმაკობა, მივიდა და ხანჯალი სწორეთ გულში კი ჰკრა; საწყალი მაშინვე თაგვივით კი ძირს დაეცა. დასწყეველა ღმერთმა რამ მოაგონა იქ დამალვა, სწორეთ მთვრალი თუ იყო. მაშინვე წაძოვარდი ფეხზე: ივანე, მეთქი, აკტიორებმა კაცის კვლა მოახდინეს და მერე მოწმათ წაგვიყვანენ მეთქი; რაექნათ საით გავიქცეთ? ის იყო იმან გამოიღვიძა და დაიძახა—გასწი ძირისკენაო! ბამოვეკიდე უკან და წაღები კი ძირს მომაგონდა. რაექნა, ივანე, წაღები რო სკამ ქვეშ დამრჩა, პოლიცია ხომ მაშინვე იცნობს და ჩემათ მიიღებს, დოკუმენტივით რამ არის მეთქი? წამო, წამოვო, ხომ ხედამ ჯანდარმები წავიდნენ გამოსაძიებლათ, რომ დაგვიჭირონ, უარესი არ იქნებაო. მოვედი შინ და ვთქვი, კარგია ტიატრი.—ფულებიც და წაღებიც იკარგება მეთქი. დავფიცე, რომ მიმეფურთხებინა იმ ადგილისათვის და ჩემს დღეში ზედ ფეხი არ დამედგა. როცა დავქორწილდი, ერთ ხელ გადუდექი ამ ფიცს. ღმერთმა აცხონოს, აკულინა სიმონოვნა—ჩემი ცოლი—გადამეკიდა ერთი ტალენოვისა მაჩვენეო. რომ მომაგონდა წაღების ისტორია არ მინდოდა, მაგრამ ეჰ! რა ვქნა, არ იქნება ერთხელ არ გავანებივრო; იმის თავში იყოს ხუთი მანეთი მეთქი. მაშინვე პრიკაზჩიკს უთხარი, რომ ლოჟა ეშოვნა, მე კი ძირს ვიშოვე ალაგი; არ იქნებოდა სახლობა კარგა ბლომათ იყო თერთმეტნი იყვნენ და ხომ იცი ლოჟაც ვიწრო არის. რომ ვემზადებოდით აკულინას უთხარი: ვინიცის იქნება მოსწყურდეს ვისმე თან წაიღე რამ პარკში, იქნება მეც შემოვიდე მეთქი. წავედით, ვნახოთ ტალენოვისა ხტის, ფეხს მაღლა იშვერს, ერთის სიტყვით ჩარხივით ბრუნავს; გეგონება პრუჟინებით არის გამართულიო. ჩემ შვილს ნიკოლას მოსწყურებოდა და დედას გადაჰკიდებოდა დამალვევინეო. იმასაც ამოეღო ბოთლი კისლიშჩი და პრობკა კი ვერ ამოეძრო. ატრიალებდა აქეთ იქით,—მერე თითონ ამოსძერა და ჭერს ეცა; კისლიშჩი კი უმდაბლესს პუბლიკას ზედ თავზე დაესხა. ვიყურები ზევით და ვანიშნებ რომ თითი დააფაროს პირზე ბოთლს, მაგრამ საწყალმა ხელები ჩამოყარა. პუბლიკა ხომ ტიატრს აღარ უყურებდა,—იყურებოდა მაღლა და ღვედივით მოხრილი სიცილით იხოცებოდა. მე ველარ გავძელ, ხომ იცი საწყინო არის, დავიყვირე; აკულინა სიმონოვნა, თითი დაუცე, თითი! მტაცა მაშინვე კვარტალმა საყელოში და პოლიციაში წამათრია; სამი დღე ქუჩები ვგავე, მერე ძლივს გამომიშვეს. მართალია პეტერბურგი სატახტო ქალაქია, სიწმინდე უყვარს, მაგრამ ჩვენს ხარისხს არ შეჰფერის.—აი ჩემი რჩევა, ნემეცო, ამ მაიმუნების თამაშობას დაეხსენ! ქმარა, ქმარა.

### „ქრება ცნობებისა კავკასიის მთიელებზე.

*Сборникъ свѣдѣній О Кавказскихъ Горцахъ,* изд. Кавказск. Горскаго управл. вип. I Тифлисъ 1868 г.

II.

ჭურდობისათვის, ცარცვისთვის, ცეცხლის მოკიდებისათვის და სხვისი ყანის გაფუჭებისათვის ადათი თითქმის ერთნაირად დასჯის ხოლმე დამნაშავეს; ყოველ ამ გვარ დანაშაულობისთვის დამნაშავეს გარდახდება ნაქურდალის ან წანახდენის ფასი და ამას გარდა ქურდობისათვის, ან წახდენისთვის გარდაახდევინებენ იმას, პატრონის სასარგებლოთ, დანიშნულ ჯარიმას. ჭურდობისათვის და სხვისი საქონლის გაფუჭებისათვის დასჯა, ან გარდახდევინება დამოკიდებულია პირველათ-ადგილზე, სიდანაც მოპარულია ნივთი, მეორეთ- ნივთის ფასზე და, მესამე იმაზე-თუ როგორ ამოჩნდა დამნაშავე: თითონ გატყდას თუ მოწმეებით, ან სხვა რამე რიგათ დაუმტკიცეს იმას დანაშაულობა.—

ვინც მოიპარავს რასმე მეჩითიდან, ან წისქვილიდან, ან წაახდენს წისქვილის ქვას, იმა, დაედება უფრო სასტიკი სასჯელი; აგრეთვე სასტიკათ დასჯიან იმას, ვინც ყანიდან, ან

---

ამ გაჭირებაში, მგონი, ჩვენს უეზდს ძალიან მოეხმარება სიმინდი, რომლითაც იკვებება თითქმის მთელი ჩვენი გლეხკაცობა, რადგან პურს ისინი ჰყიდიან ვალებისა და ხარჯის გარდასახდელათ.

ქ. მ.

---

**Დიდის** კმაყოფილებით ვბეჭდავთ ჩვენ ასოასოდ ყოფილის **Აფხაზეთის** ეპისკოპოსის და დღეს **საქართველოს** ეკარის წიგნს, რომელიც მოგვივიდა ამ ახლო ხანში და რომელიც შეეხება **Თ**ბილისის **სასულიერო** სასწავლებელში ეკზამენს:

17 ივნისს ვნახე ტფილისის **სასულიერო** სასწავლებელი ვითარცა გარეგანმა მომხილველმა და აღმოჩნდა, რომ დასახელებულის **სასულიერო** სასწავლებელის მეოთხე კლასში სწარმოებდა ეგზამენი საზოგადო გეოგრაფიისა, იმ საგნისა რომელსაც ასწავლის **უ. Iაკობ ს. Ბ**ოგებაშვილი. შეავადარე რა წარსული დრო აწყოს, მე შევნიშნე ეგზამენში დიდი ცვლილება მოწაფეებში წინა-აღმდეგ ძველთა დროებისა ჰსწავლისაცა და გარეგანის მხრითაც. **ს**ასიამოვნო გრძნობას, რომელიც მე მივიღე ამ ეგზამენის დროს, გარდავსცემ ქალალდზედ სანუგეშოდ მშობელთა, და ყოველთა ახალგაზდა შთამომაველობის განათლების მოსურნეთა.

ჰსწავლის პირობაზედ ძრიელ შორს წასულან **ტ**ფილისის მეოთხე კლასის **სასულიერო** სასწავლებლის მოწაფენი;—წარმატება მოწაფეებისა სჩანს გულის ყურის გახსნაში დაგონების ძალაში? მოწაფენი უპასუხებდენ **არა** ძველის დროსა სახისაებრ—დაღეჭვითა **და** ზეპირად ხსომითა, არამედ მოთხრობითა, უმეტესად საკუთარს თავიანთ გამსჯელობითა, თავიანთ სიტყვებით, და მასთან ძალიან განმარტებით. მართალია ერთმა ოსთაგანმა მიუგო მეხანიკურად; ის ასო—ასო კითხულობდა წიგნიდამა, მაგრამ მასაც ცოტათ თუ ბევრათ ესმოდა ყოველივე მის მიერ წაკითხული. **Д**აუწყე რა ლაპარაკი მოხსენებულ ოსს და სხვათაც მის მემამულეთა მათ ბუნებით ენაზედ, მე შევნიშნე, რომ ყველანი ისინი იყვნენ (ისინი იყვენენ სამნი) ჩრდილოეთის **Ო**სეთიდგან, **Ო**რტევის (პატარა **ლ**იახვის ხეობაა) და **ჯ**ავის მაზრიდან.—მოწაფეების საქებ-

---

„**ქრება ცნობებისა კ. ვკავასიის მთიელებზე.**

*Сборникъ свѣдѣній О Кавказскихъ Горцахъ,* изд. Кавказск. Горскаго управл. вип. I Тифлисъ 1868 г.

II.

ჭურდობისათვის, ცარცვისთვის, ცეცხლის მოკიდებისათვის და სხვისი ყანის გაფუჭებისათვის ადათი თითქმის ერთნაირად დასჯის ხოლმე დამნაშავეს; ყოველ ამ გვარ დანაშაულობისთვის დამნაშავეს გარდახდება ნაქურდალის ან წანახდენის ფასი და ამას გარდა ქურდობისათვის, ან წახდენისთვის გარდაახდევინებენ იმას, პატრონის სასარგებლოთ, დანიშნულ ჯარიმას. ჭურდობისათვის და სხვისი საქონლის გაფუჭებისათვის დასჯა, ან გარდახდევინება დამოკიდებულია პირველათ-ადგილზე, სიდანაც მოპარულია ნივთი, მეორეთ- ნივთის ფასზე და, მესამე იმაზე-თუ როგორ ამოჩნდა დამნაშავე: თითონ გატყდას თუ მოწმეებით, ან სხვა რამე რიგათ დაუმტკიცეს იმას დანაშაულობა.—

ვინც მოიპარავს რასმე მეჩითიდან, ან წისქვილიდან, ან წაახდენს წისქვილის ქვას, იმა, დაედება უფრო სასტიკი სასჯელი; აგრეთვე სასტიკათ დასჯიან იმას, ვინც ყანიდან, ან

ლად უნდა ესთქვათ ისიცა, რომ მოწაფენი გამოსთქმიდენ რუსულად სუმბუქად და გაწყობილად, და მასთან ლრამმატიკის კანონით, და ახსნაში არ ტრთოდენ და არა შევიწროვდებოდენ.

ᲑᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲘᲡᲐ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲮᲐᲢᲕᲔᲜ ᲐᲢᲚᲐᲡᲡ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲗᲐ ᲙᲐᲠᲗᲗᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ-ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘᲗ. ᲣᲬᲘᲜᲓᲔᲚᲡᲚ ᲓᲠᲝᲨᲘᲓ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲜᲘ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲗᲘᲗᲝᲜ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲔᲜ ᲙᲐᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲢᲕᲐᲡᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲐᲡᲐᲪ ᲪᲣᲓᲐᲗ ᲒᲐᲜᲐᲠᲩᲔᲕᲔᲓᲔᲜ ᲠᲐᲐᲯᲪᲐ ᲨᲗᲐᲬᲔᲠᲘᲚ ᲘᲧᲝ ᲜᲐᲑᲔᲭᲓᲡ ᲙᲐᲠᲢᲐᲨᲘ. ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲔᲜᲘᲨᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲓᲐᲛ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲜᲘ ᲛᲘᲣᲒᲔᲑᲓᲔᲜ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲔᲠᲪᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲗ-ᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗ ᲬᲘᲒᲜᲘᲡᲐ�გᲐᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ Უ. ᲡᲛᲝᲢᲠᲘᲢᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐᲗᲐ�გᲐᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲡᲪᲔᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲪᲝᲓᲜᲔᲡ ᲡᲛᲝᲢᲠᲘᲢᲔᲚᲡ. ᲣᲙᲔᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲘᲡᲜᲘ ᲗᲐᲜᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲜᲘ ᲔᲡᲠᲔᲗ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲐᲗ ᲓᲐ ᲑᲔᲯᲘᲗᲐᲗ ᲔᲪᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲜ ᲡᲐ�გᲜᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲗᲐ, ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ Უ. ᲑᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲜᲘ ᲨᲝᲠᲡ ᲬᲐᲠᲘᲬᲔᲕᲔᲜ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲨᲘᲓ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲒᲐᲠᲔᲒᲐᲜᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ, ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲗᲐ!—ᲪᲔᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲓ ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲖᲔᲓ ᲘᲒᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲗ ᲐᲪᲕᲘᲐᲗ ᲐᲝᲐ ᲩᲝᲮᲐ, ᲯᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲚᲘ—ᲐᲖᲘᲣᲠᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲐᲗᲐᲪ ᲔᲡᲔ ᲘᲧᲝ ᲛᲧᲝᲤᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲪᲕᲘᲐᲗ ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲗ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲠᲞᲘᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘ ᲧᲠᲛᲐᲗ ᲣᲮᲓᲔᲑᲐᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ.

ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲢᲔᲑᲔᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲔᲜᲘᲨᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲗᲐ ᲣᲬᲘᲜ, ᲔᲡᲠᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲗᲥᲕᲐ, ᲨᲣᲑᲚ-ᲙᲚᲝᲓᲐᲜ ᲛᲝᲘᲠᲐᲕᲐᲡ ᲞᲣᲠᲡᲐ, ᲐᲜ ᲪᲮᲕᲐᲠᲡ ᲡᲐᲫᲝᲕᲠᲘᲓᲐᲜ.—

ᲗᲣ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲘᲗᲝᲜ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲢᲧᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲛᲝᲕᲘᲞᲐᲠᲔᲝ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲛᲐᲡ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲯᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲜᲐᲥᲣᲠᲓᲐᲚᲘ, ᲐᲜ ᲬᲐᲮᲓᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ.—ᲗᲣ ᲥᲣᲠᲓᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲢᲧᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲝᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲯᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲜᲐᲥᲣᲠᲓᲐᲚᲘ, ᲐᲜ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲔᲥᲕᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ.—ᲐᲓᲐᲗᲘ ᲣᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲡ ᲥᲣᲠᲓᲗᲐᲜ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲐᲡ; ᲕᲘᲜᲪ ᲣᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲗ ᲥᲣᲠᲓᲡ ᲛᲝᲣᲠᲘᲒᲔᲑᲓᲔᲑᲐ, ᲘᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲐᲮᲓᲔᲕᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲯᲐᲠᲘᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲥᲣᲠᲓᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.—

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲐ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲐᲜᲓᲝᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲙᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲔᲡ ᲯᲐᲠᲘᲛᲘᲡ ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲘᲛᲬᲐᲛᲡᲕᲔ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲮᲔᲜᲘ, ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ ᲡᲐᲓᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲝᲡ ᲘᲡ, ᲗᲣ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ; ᲗᲣ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲔᲥᲝᲜᲔᲡ ᲜᲐᲧᲘᲓᲘ ᲰᲧᲐᲔᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ, ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲐᲮᲓᲔᲕᲘᲜᲝᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲘᲛᲐᲡ, ᲕᲘᲡᲒᲐᲜᲐᲪ ᲘᲧᲝᲓᲐ; ᲔᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲛᲧᲘᲓᲔᲚᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲠᲘᲒᲐᲗ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲥᲣᲠᲓᲡᲐᲪ ᲛᲝᲜᲐᲮᲐᲕᲔᲜ.—ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ, ᲐᲜ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲝᲙᲚᲐᲡ ᲥᲣᲠᲓᲘ, ᲗᲣ ᲬᲐᲔᲡᲬᲠᲝ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲯᲘᲡ ᲐᲓᲐᲗᲘ; ᲐᲛᲐᲡ �გᲐᲠᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ �გᲐᲠᲓᲐᲐᲮᲓᲔᲕᲘᲜᲔᲑᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲔ-ᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ, ᲐᲜ ᲬᲐᲮᲓᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ.—ᲗᲣ ᲥᲣᲠᲓᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲢᲧᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲝᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲯᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲘᲡᲯᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲗᲘᲗ. ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲡ, ᲐᲜ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲓᲐᲘᲤᲘᲪᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲜᲘᲕᲗᲘ ᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲡᲐ ᲐᲥᲕᲡᲝ, ᲓᲐ ᲠᲝᲪᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲩᲕᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲐᲮᲓᲔᲕᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲜᲘᲕᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲡᲐ; ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲐᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ.—

ᲭᲣᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲜ ᲥᲣᲠᲓᲘᲡ ᲐᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ; ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲩᲔᲕᲐ ᲚᲔᲙᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲜᲐᲥᲣᲠᲓᲐᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲞᲘᲠ ᲓᲐ ᲞᲘᲠ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲥᲣᲠᲓᲡ, ᲐᲜ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲔᲩᲕᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ.—ᲐᲓᲐᲗᲘ ᲣᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲡ ᲥᲣᲠᲓᲗᲐᲜ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲐᲡ; ᲕᲘᲜᲪ ᲣᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲗ ᲥᲣᲠᲓᲡ ᲛᲝᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐ, ᲘᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲐᲮᲓᲔᲕᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲯᲐᲠᲘᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲥᲣᲠᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.—

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲐ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲐᲜᲓᲝᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ Გ Ა Რ Ე ᲨᲔ ᲙᲐ-ᲪᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲔᲡ ᲯᲐᲠᲘᲛᲘᲡ ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲘᲛᲬᲐᲛᲡᲕᲔ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲝᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲪᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲔᲡ ᲯᲐᲠᲘᲛᲘᲡ ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲘᲛᲬᲐᲛᲡᲕᲔ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲝᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲔ-ᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ, ᲐᲜ ᲬᲐᲮᲓᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ.—ᲗᲣ ᲥᲣᲠᲓᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲢᲧᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲝᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲯᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲘᲡᲯᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲗᲘᲗ. ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲡ, ᲐᲜ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲓᲐᲘᲤᲘᲪᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲜᲘᲕᲗᲘ ᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲡᲐ ᲐᲥᲕᲡᲝ, ᲓᲐ ᲠᲝᲪᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲩᲕᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲐᲮᲓᲔᲕᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲜᲘᲕᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲡᲐ; ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲐᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ.—

ᲭᲣᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲜ ᲥᲣᲠᲓᲘᲡ ᲐᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ; ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲚᲔᲙᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲜᲐᲥᲣᲠᲓᲐᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲞᲘᲠ ᲓᲐ ᲞᲘᲠ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲥᲣᲠᲓᲡ, ᲐᲜ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲔᲩᲕᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ.—ᲐᲓᲐᲗᲘ ᲣᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲡ ᲥᲣᲠᲓᲗᲐᲜ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲐᲡ; ᲕᲘᲜᲪ ᲣᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲗ ᲥᲣᲠᲓᲡ ᲛᲝᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐ, ᲘᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲐᲮᲓᲔᲕᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲯᲐᲠᲘᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲥᲣᲠᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.—

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲐ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲐᲜᲓᲝᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ Გ Ა Რ Ე ᲨᲔ ᲙᲐ-ᲪᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲔᲡ ᲯᲐᲠᲘᲛᲘᲡ ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲘᲛᲬᲐᲛᲡᲕᲔ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲮᲔᲜᲘ, ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ ᲡᲐᲓᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲝᲡ ᲘᲡ, ᲗᲣ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ; ᲗᲣ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲔᲥᲝᲜᲔᲡ ᲜᲐᲧᲘᲓᲘ ᲰᲧᲐᲔᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ, ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲐᲮᲓᲔᲕᲘᲜᲝᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲘᲛᲐᲡ, ᲕᲘᲡᲒᲐᲜᲐᲪ ᲘᲧᲝᲓᲐ; ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲛᲧᲘᲓᲔᲚᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲠᲘᲒᲐᲗ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲥᲣᲠᲓᲡᲐᲪ ᲛᲝᲜᲐᲮᲐᲕᲔᲜ.—ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ, ᲐᲜ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲝᲙᲚᲐᲡ ᲥᲣᲠᲓᲘ, ᲗᲣ ᲬᲐᲔᲡᲬᲠᲝ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲯᲘᲡ ᲐᲓᲐᲗᲘ; ᲐᲛᲐᲡ �გᲐᲠᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ �გᲐᲠᲓᲐᲐᲮᲓᲔᲕᲘᲜᲝᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲙᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲯᲘᲡ ᲐᲓᲐᲗᲘ; ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ Გ

Კარმელისტების წინამძღვარს ჩაეცო გლეხური ტანისამოსი და გაქცეულაო; მაგრამ ეს მართალი არ უნდა იყოს. იმის დედა კი თურმე აპირობდა მოეტაცნა კარეტით, მაგრამ ხალხმა კარეტა არ მიუშვა ახლოს; კინაღამ არ გადააბრუნეს კარეტა და დედაც არ მოკლეს. ბანთაისუფლებული მოლოზანი ჭკუაზე სრულებით კარგათ არის; მხოლოთ ორმოში გდებით გამხეცებულა.

—ბუშინ მონასტრის წინამძღვარი და იმისი თანაშემწე ყარაულებით წაეყვანათ სასამართლოს სადგომში. პროკურორის თხოვნით პირველანდელი წინამძღვარიც ტერეზა ქოჯერკევიჩიც დაუტუსაღებიათ. ესენი სულ სასამართლოს სადგომში არიან დაჭერილნი.

წინამძღვარს მიუცია სასამართლოში შემდეგი პასუხი: „ბარბარე უბრიკი დაიბადა ვარშავაში და მოლოზნათ შედგა 1841-ში. ჯერ არ შემდგარიყო მოლოზნათ, რომ ჭკუაზე შემცდარი იყო, მაგრამ კრაკოვში რომ მოვიდა ისევ მორჩა. განსვენებული დოქტორი ზომისცევსკის რჩევით ურბიკს ის სენაკი მივეცით და იქ ჩავსვით. მეორე დოქტორმა ვრიუბლევსკიმ, რომელიც ახლა წყლებზე არის, გვირჩია ფანჯარა ამოგვეშენებინა, რადგანაც მოლოზანს სინათლე სწყინდა. ხუთი წელიწადია, რაც დოქტორი იმას აღარ მიჰკარებია“. ამ დროს იქაური ბერიც ყოფილიყო, რომელსაც ეთქვა, რომ მოლოზანი გიგიენური მიზეზებით იყო ჩასმული სენაკშიო, და სამღვდელოს გამგებლობამაც იცოდა ეს ამბავიო. მაგრამ იქავე იყო სხვა ბერი და იმან უპასუხა, რომ ეგ სულ ტყუილია და აი ეს შვიდი წელიწადია რაც ეპისკოპოზი ერთ ადგილზე არის, მაგრამ არაფერი არ იცის მაგ საქმისაო. მოლოზნებსაც კითხვას უპირობენ. ბამოძიება გამოაჩენს ამ საქმის გარემოებებს.

## ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐ.

პარიჟი, 27-ს ივლისს. ბაზეთი „Rappel“ის თანამშრომელებზე (ბაკერი და ბარბიეზე) დაუწყიათ სასამართლოებში დევნა იმპერატორის გაუპატივრობის გამო. ამ გაზეთის მესამე თანამშრომელმა—ლავერრიემ დაუწყო პოლიციის პრეფეკტს 10,000 ფრანკის საჩივარი უკანონოთ დატუსაღებისათვის.

პარიჟი, აგვისტოს 2-ს. დღეს სენატის სესსია გაიხსნა, რომელზედაც უფ. რუემ სთქვა სიტყვა. შემდეგ ამ სიტყვისა დაიწყეს დამტკიცებული პროექტის კითხვა. აი შინაარსი ამ პროექტისა: იმპერატორს და კანონთმდებელ კრებას აქვს უფლება კანონების შეცვლისა და შემსებისა.—მინისტრები არიან დამოკიდებული მხოლოთ იმპერატორისაგან და მრჩეველობენ იმისი თავსმჯდომარებით. ისინი არიან პასუხის მგებელნი კანონის წინაშე, მაგრამ მოწვევა კი იმათი განსასამართლებლათ შეუძლიან მხოლოთ სენატს.—მინისტრებათ შეუძლიანთ შეიქმნენ სენატის წევრებს და დეპუტატებსაც. მინისტრებს აქვსთ უფლება დაესწრონ სენატისა და კანონმდებელ კრების სხდომებში.—სენატის სხდომა სახალხო არის. სენატს აქვს დართული ნება უჩვენოს ის ცვლილებები, რომელიც შეიძლება კანონებში. იმას შეუძლიან დაუბრუნოს კანონმდებელ კრებას პროექტები, რომელიც ამ კრებიდგან მიუვიდა და არ შერიცხა სასარგებლოთ. კანონმდებელ კრებას აქვს დართული ნება, როგორც უნდა ისე აწარმოოს თავისი შინაგანი საქმობა, დანიშნოს პრეზიდენტი, ვიცე—პრეზიდენტი და სეკრეტრები. როგორც სენატს, აგრეთვე კანონთმდებელ კრებას აქვს უფლება განაღვიძოს წინადადებები და შეიტანოს მმართებლობასთან თავისი აზრები.

სენატისა, კანონმდებელი კრებისა, სახელმწიფო რჩევისა და იმპერატორის ერთმანერთ შუა მიმართულება ცალკე დეკრეტით დაწესდება.

—სენატი შეიკრიბება ხუთშაბათს, აგვისტოს 5-ს; დანიშნულია ათი კაცის კომმისია სენატის დაწესების პროექტის გამოსაკვლევათ.

პარიჟი 21 ივლისს. დღეს სენატის გახსნის დროს ახალმა პრეზიდენტმა რუემ სთქვა სხვათა შორის შემდეგი სიტყვები: იმპერატორი ყოველთვის ყურადღებით შესცქერის საზოგადოების აზრსა და მოთხოვნილებას; სახელმწიფო უფლება იმას ყოველთვის ხალხის საკუთრებათ მიაჩნდა. იმპერატორის თაობით მოხდა ცვლილება იმ წყობილობაში, რომელიც დაფუძნებული იყო აეტორიტეტზე და რეფორმები 1860, 1863 და 1867-ს წლებში.—ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპაში ვრცელდება ლიბერალური აზრები; არც ფრანცია უნდა დარჩეს ამ დროს ერთს ადგილას-გაუნძრეველათ. ხელმწიფის სიტყვებით, იმპერია იმდენათ მოსწონს ხალხს, რომ თავისუფლობის არ ეშინია და იმდენათ ძრიელია რომ დაიცავს თავისუფლობას უწესოებისაგან“. ბოლოს რუემ სთქვა, რომ ეხლანდელი რეფორმები გაამაგრებენ და დაამშვენებენ იმპერიის დაწესებაებს და მოგვრიან იმათ ხალხის თანაგრძნობასაო.—

## ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲐ.

მადრიდი, ივლისის 25-ს. ბაზეთები სავსეა კარლისტების მოქმედების ამბით, მაგრამ არც ერთი დამტკიცებით არას ამბობს რას ამაზე. ზოგი ამბობს დონ-ქარლოსი ფონტენებლოშიაო, ზოგი ბაიონნაშიო, ბისკაიის პროვინციაშიო; და ზოგი მადრიდშიაო იძახის. ოლოცაგს დეპეშით უცნობებია რომიდგან, რომ ინფანტის ძმა, დონ-ალფონსო, რომელიც პაპის ზუავებში ემსახურებოდა, ერთბაშათ დაიმალა სადღაცაო. დატუსაღება კარლისტებისა მადრიდში და სამხრეთის პროვინციებში ჯარის შეკრება ამტკიცებს, რომ ამ საქმემ ძალიან შეაშინა მმართებლობა.

—ეხლა გაახლეს 1821 წ. დაწესებული საზოგადოების უშიშრობაზე, ძალიან სასტიკი კანონი, რომელსაც ხალხში „სისხლის დეკრეტს“ ეძახიან. ისპანიის აფიცრებში დიდი უსიამოვნება სუფევს, მაგრამ ისინი ასტურიის პრინცს უფრო უდგებიან; ეს არის რომ ის მცირე წლოვანი არის და რადგანაც ენერალები სარეგენტოს მტრობენ, ამიტომ დონ-ქარლოსის მხარეს მალე დაიჭერენ, თუ ის საქმეს რიგზე შეუდგა. ყველაზე საჭირო ახლა ომისათვის არის—ფული. არავინ იცის საიდგან იშოვა, ან საიდგან ელის შოვნას ფულისას. სამღვდელოება და ჯარი უთოოთ დონ-ქარლოსის მხარეს დაიჭერს.

— ივლისის 26-ს. როგორც გაზეთი „Imparcial“ი ამბობს დონ-ქარლოსს შეუდგენია 300 კაცის მეფის ამალა ქატალონიისა და ვალენსიის აზნაურებისაგან. იმისი მომხრეები ჰკვეხიან, რომ 12,000 დაიარაღებული კაცი გეყაესო; ესენი დაფანტულათ არიან ახლა, მაგრამ ორ დღეზე ერთ პუნქტზე შეიძლება მოგროვდნენო. ხელმწიფობის მძებნელს ეს რამდენიმე თვეა, რაც ყველგან კომიტეტები გაუმართავს და აფიცრებიც დაუნიშნავს. ადმირალი ტოპეტეს წასვლას ბარცელონაში, ამბობენ, კარლისტების განძრახულებასთან კავშირი აქვსო.

— დატუსაღებულ კარლისტებში არის ერთი ფრიად მარჯვე მღვდელი, პედრო როიჩი, რომელიც ისე ოსტატურათ ჰმალავდა თავის განძრახულებას, რომ რესპუბლიკის მმართებლობამ ერთს ბატალიონში მღვდლათ დანიშნა; ეს თავისის სიმარჯვით ბევრს აფიცრებს გამეგობრებოდა.—შიში სულ იზდება; ხალხი პროვინციებიდგან ზოგი მადრიდში მორბის, ზოგი ფრანციაში.

# ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(პეტერბურღში მიღებული)

მადრიდი, აგვისტოს 2-ს. ოფიციალური გაზეთი გვაცნობებს სამშვიდობო ამბებს პროვინციებიდგან; მხოლოთ ერთ პროვინციაში—ლეონში გაჩენილა დიდი ყრილობა ხალხისა და არეულობა ყოფილა.

მმართებლობამ გაუგზავნა ცირკულიარები თავის დიპლომატურ წარმომადგენლებს უცხო მხრებში, რომელშიაც უთოოთ თხოულობს სასტიკათ მოქცევას იმათზე, რომლებიც ჰრევენ ხალხს; ესენი რასაკვირველია ეკუთვნიან ყველანი ლეგიტიმურ პარტიებს.

პარიჟი, 4 აგვისტოს. იმპერატორის დღეობის გამო მიეცათ ამნისტია (აპატიევეს) პოლიტიკურ და ბეჭედის საქმეებში დამნაშავეებს.—

## რამდენიმე სიტყვა მდაბიო ხალხის აღრზდაზე და განათლებაზე.

ჩვენ ყველას გვესმის, რომ რომელიმე ერის ბედნიერებისათვის და კეთილდღეობისთვის მდაბიო ხალხის განათლება და ხელოვანი აღრზდა აუცილებელი საჭიროებაა. ერთმა მწერალმა სთქვა, რომ, „თუ გნებავთ ნამდვილათ გაიგოთ რომელიმე სახელმწიფოს კეთილდღეობა და სიმდიდრე, შედით მდაბიო კაცის სახლში და დახედეთ-როგორ ცხოვრობს ის; თუ მდაბიო ხალხი კარგათ, უნაკლულად ცხოვრობს, მაშინ თქვენ შეგიძლიათ შეუცთომელად თქვათ, რომ ეს სახელმწიფო მდიდარია და განათლებული. შესაძლებელია, რომ რომელიმე ქვეყანაში იყვნენ ბევრი მილლიონის პატრონები, ბევრი ფაბრიკები, ქარხნები, მარმარილოს სახლები და სხ., მაგრამ, თუ ამ დროს მდაბიო ხალხი, რომელიც ყველგან მომატებული ნაწილია, ღარიბად ცხოვრობს და გაუნათლებელია, რასაკვირველია, მაშინ მე არ ვიტყვი, რომ იმ ქვეყნის ხალხი კეთილდღეობდეს.“ ეგრეთვე განათლებაც; რაც უფრო თანასწორათ არის რომელიმე სახელმწიფოში ის გავრცელებული, ისე უფრო განათლებულ სახელმწიფოთ ჩაითვლება ის და ისე უფრო მეტს სარგებლობასაც მოიტანს განათლება. ჩვენ ვიცით სახელმწიფოები, რომლებშიაც იყვნენ და არის ეხლაც ბევრი სწავლულები და ფილოსოფოსები, მაგრამ ამ სწავლულებსა და ფილოსოფოსებს ვერ მიუციათ მდაბიო ხალხისათვის განათლება, კეთილდღეობა და რიგიანი ცხოვრების საშუალება, რადგან თითონ საზოგადოებას არ უგდია ამაებისთვის ყური და მართებლობასაც ცოტა უზრუნავს. ფრანციაში და ანგლიაშიც ჩვენ ვხედავთ ამისთანა მაგალითებს. იქ შეხვდებით თქვენ იმისთანა მდიდრებს, რომლებიც წელიწადში ასი ათასობით ჰფანტვენ მარტო თავის საქეიფოთა და იმავე დროს ნახავთ იმისთანა ღარიბსაც, რომელიც უმიწაწყლოთ, უსახლ-სადგუროთ, თითქმის შიშველა და მშიერი დაიარება თავის სიცოცხლეში მშვენიერი და მდიდარი ლონდონის, ან პარიჟის მაღაზიების წინა.—ამ უკანასკნელ დროში ეს სახელმწიფოები მიხვდენ, რომ ყოველი სახელმწიფოს ძალა მდაბიო ხალხია და რომ ვერაფერი ვერ მისცემს რომელიმე ერს ისეთს ძალას, როგორსაც მისცემს განათლების გავრცელება ამ მდაბიო ხალხში. წინანდელ „დროების“ ნომერში მკითხველი წაიკითხავდა—როგორ სცდილობენ ანგლიაში და რამდენს ხარჯვენ საზოგადოებაცა და მართებლობაც, რომ მისცენ მუშა ხალხს რიგიანი სწავლის მიღების ღონისძიება; იქიდან შეიტყობდა მკითხველი, რომ ყოველწელიწადს რამდენიმე მილლიონი ფული იხარჯება სახალხო შკოლებისათვის; ამ ფულების უმეტესს ნაწილს სწირავს ხოლმე თითონ საზოგადოება; რასაკვირველია, თუ საჭიროა, მართებლობაც ძალიან უწყობს ხელს შკოლებსა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ანგლიელები ჩვენსავით უზრუნველათ არ შეჩერებიან თავიანთ განათლების საქმესა; რომელიმე კეთილი საზოგადო საქმისათვის იქაური საზოგადოებაც ისე ზრუნავს, როგორც მართებლობა.—წინანდელ „დროების“ ნომერში ნახავდით, რომ ანგლიის საზოგადოება თითქმის უფრო მეტსაც ზრუნავს და ეწევა სახალხო შკოლებს, ვიდრე მართებლობა.—

ზევით ვთქვით ჩვენ, რომ ფრანციაში და ანგლიაში, თუმც ბევრი სიმდიდრეა, ბევრი ფაბრიკები, ქარხნები და სხვ., მაგრამ მდიდარ ქვეყნებათ მაინც არ ჩაირიცხებიან ისინი, რადგან მდაბიო ხალხი არ არის შეძლებული და განათლებული.—ამის წინააღმდეგს მაგალითს ჩვენ ვხედავთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმც იქ ვერ ნახავთ, როგორც ანგლიაში და ფრანციაში, იმდენს და ისეთს სწავლულებს, რომელთაც შესანიშნავი რამ გამოეჩინოსთ მეცნიერებაში; ეს გასაკვირველიც არ არის: ჯერჯერობით ამერიკელები იმას სცდილობდნენ, რომ თავის ცხოვრება დაეწყოთ და ამიტომ ვერ ახერხებდენ მეცნიერებისათვის შეეწირათ თავი; ეხლა იმათ იმდენათ გააუმჯობესეს თავიანთ ცხოვრება, და იმდენი შეძლება აქვთ, რომ შეუძლიანთ შესწიროთ თავი მეცნიერების საგნების გამოკვლევასაც.—არც სიმდიდრეა იქ რამდენიმე კაცის ხელში ჩავარდნილი ისე, როგორც ანგლიაში; მაგრამ, რო ნახოთ იქაური ხალხის ცხოვრება საზოგადოთ, თქვენ დარწმუნდებით, რომ იმას ლუკმა პურის შოვნა არ უჭირს; რომელიმე უბრალო კაცს რო დაელაპარაკოთ, მაშინვე მიხვდებით, რომ ის განათლებული და ქვეყნის ამბავის მცოდნე კაცია. ბაჩნდება თუ არა იქ სადმე სოფელი ან ქალაქი, პირველი მათი ზრუნვა ის არის, რომ სახალხო შკოლა გამართონ და მისცენ თავიანთ შვილებს სწავლის ღონისძიება; ხშირათ ათ, ოც მოსახლიან სოფელში დგას ერთი პაწაწა სახლი, სადაც ქალები და ვაჟები ერთად დაიარებიან სასწავლებლათ და სადაც უფრო დედა-კაცები ასწავლიან; 1850 წ. მენის შტატში იყო: მცხოვრებლები—583,196.

სახალხო შკოლები — — — 4,042.
ამ შკოლების მასწავლებლები—5,540.
მოსწავლეები — — — — 192,815
შკოლების ხარჯი — 315,436 დოლლარი (დოლლარი მანეთი და ხუთი შაურია). ეხლა კი, შკოლების რიცხვი, დარწმუნებული ვარ ორი ამოდენი უნდა იყოს. აქედან ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ ის, რომ როგორც სიმდიდრე, ისე განათლებაც ამერიკაში მთელს ხალხშია გავრცელებული.

ამერიკისა და ანგლიის წაბაძვა, რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვფერის; მაგრამ ცოტათი მაინც რო მივაქცევდეთ, ჩვენდა სასარგებლოთ, ამ სახალხო შკოლების საქმეს ყურადღებას, უეჭველია, ძალიან კარგს ვიზამთ. მე მგონია, რომ თუ სხვაგან ოცი მოსახლე კაცი ახერხებს შკოლის შენახვას, ჩვენში ასს, ორასს მოსახლეს მაინც ‘ძეუძლია შეერთდეს ამ საქმისთვის ერთად და პატარა სოფლის შკოლა გახსნას თავის ხარჯით. ნასწავლი და გამოცდილი პირების ვალია ითაონ ამ საქმეში და უხელმძღვანელონ ხალხს.

ჩვენ ყველამ ცხადათ ვიცით, რომ დედა-მიწა გვასმევს, გვაჭმევს და გვაცმევს, რომ ერთი სიტყვით უიმისოთ კაცის სიცოცხლე ყოველად შეუძლებელია; ამიტომაც ვეძახით ჩვენ იმას „დედა-მიწას“; მაგრამ იმისთვის, რომ მიწამ რიგიანათ გვაცხოვროს, ჩვენ უნდა დავღვაროთ მრავალი ოფლი და მოვახმაროთ იმას ჭკუა და ყოველი ცოდნა და სწავლა. აქედან ცხადია, რომ ჩვენი ეხლანდელი და მომავალი კეთილდღეობისათვის ყველაზე უფრო საჭიროა ცოდნის შეძენა; რასაკვირველია ამ ნაირი მიწის ამუშავების ცოდნის შეძენა იმათთვის უფრო საჭიროა, ვისაც პირდაპირ ბუნებასთან აქვს საქმე, ე. ი. სოფლის მეოჯახეებისათვის და განსაკუთრებით გლეხებისათვის. ამიტომაც უმთავრესი ყურადღე-

ბა იმას უნდა მივაქციოთ—თუ რა საშუალებები არიან გლეხებისათვის ამ ცოდნის გარდასაცემათ. მეც რო არა ვთქვა, ყველა იტყვის, რომ ეს სახსარი სახალხო შკოლებია;—სასოფლო შკოლები, მე მგონია, მაგდენ სარგებლობას ვერ მოუტანს ხალხს, თუ რიგიან ხალხის აღზრდას არ მივაქციეთ ჯეროვანი ყურადღება.

სანამ ხალხის სწავლაზე ვიტყოდეთ, ქთქვათ რამდენიმე სიტყვა იმაზე— თუ რა ნაირი აღრზდა უნდა მიეცეს ჩვენ ხალხს ეხლანდელ მდგომარეობაში; ამ საგანზე მოლაპარაკება შით უფრო საჭიროა, რომ გონიერი აღრზდა ამზადებს ყმაწვილში ისეთს ნიადაგს, რომელმანც უნდა მოიტანოს შემდეგში სასარგებლო ნაყოფი.

მე მგონია, არავინ შეშალოს ერთმანერთში აზრდა და სწავლა, ან განათლება: ყველამ ვიცით, რომ შეიძლება კაცი ძალიან კარგი გაზრდილი იყოს, მაგრამ გაუნათლებელი და უცოდინარო; აგრეთვე შეიძლება, რომ ვინმე ძალიან განათლებული, თითქმის სწავლულიც იყოს, მაგრამ ამასთან ცუდათ გაზრდილიცა.—აზრდის საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გაუხსნას და გაუვარჯიშოს ყმაწვილს ყოველი კეთილი სულიერი ხასიათები (მაგ. კეთილმოყვარეობა, სიმართლე, პატიოსნობა, ჯაფის მოყვარეობა და სხ); მეორეთ, აღრზდა ისეთი უნდა იყოს, რომ ის ამაგრებდეს და ამთელებდეს კაცის სხეულს; თქმა არ უნდა, რომ აღრზდას დიდი გავლენა აქვს მთელს კაცის ცხოვრებაზე: თუ კაცი პატიოსანია, შრომის მოყვარე და სხ. დარწმუნებული იყავით, ის დიდი სწავლულიც რო არ იყოს, მაინც ბევრს სარგებლობას მოუტანს ქვეყანასაცა და თავის თავსაც. ამიტომაც საჭიროა, რომ უფრო მომატებული ყურადღება მივაქციოთ დაბადებიდანვე ყმაწვილის აზრდას.—აღზრდა ოჯახის, დედ-მამის საქმეა და არა შკოლისა; შკოლა გარდასცემს ყმაწვილს მარტო ცოდნას, მეცნიერების ჭეშმარიტებაებს, უხსნის ჭკუასა; იმის საქმე მარტო ის არის, რომ გარდასცეს მოსწავლეს ისეთი ცოდნა, რომელიც უნდა გამოადგეს იმას ცხოვრებაში; მის ხასიათებს ის სრულებით არ ეხება და კიდევაც რომ შეეხოს, არ შეუძლია გაუმჯობესოს, და გაავარჯიშოს, რადგან შკოლას იმის თავი არა აქვს.—თუ ჩვენი გლეხკაცების ყმაწვილების აღზდას არ მიექცა ჯეროვანი ყურადღება, მაშინ საფიქრებელია, რომ მარტო შკოლები ვერ მოიტანენ მაგდენ სარგებლობას.—აი რას ამბობს ამ საგანზე ერთი რუსის მწერალი, რომელიც, თუმც რუსის გლეხკაცებზე ლაპარაკობს, მაგრამ ეს სრულიათ შეიძლება ჩვენზედაც თქვას კაცმა; „ჩვენ სახალხო შკოლებს იმისთვის კი არ ცნდა ეზრუნათ წინაპირველში, რომ ხალხში წერა-კითხვა გაევრცელებინათ; ისინი უკეთ იქმოდნენ, რომ ჯერ ცდილიყვნენ ხალხის და განსაკუთრებით დედების აღზრდას, რომელთაც შემდეგში შეეძლოთ თავის შვილები თითონვე გამოეზარდათ. ჩემი აზრით ხალხის აზრდა ქალიდან უნდა დაიწყებოდეს. თვით ისტორია მოგვითხრობს ჩვენ, რომ საუკეთესო მიმყოლნი ახალი აზრებისა და იმათი (აზრების) მქადაგებელნი იყვნენ ქალები; ავიღოთ მაგალითად ქრისტიანობა; ყველაზე პირველად ქალებმა გაიგეს ქრისტეს სწავლა და ირწმუნეს ის. ეს გასაგებიც არის: უწინდელ დროში ქალი იყო მონა, დამდაბლებული, უძლური; ამიტომაც ის დიდის ყურადღებით ისმენდა ქრისტეს სიტყვას სიყვარულზე, თანასწორობაზე, კეთილგულობაზე; ქალს ესმოდა, რომ ეს ახალი ქრისტეს სარწმუნოება აუმჯობესებს მისს მდგომარეობას, მონასავით არ უყურებს იმას; ამიტომაც თაყვანსა სცემდენ იმას ქალები; იმათ მიჰყავდათ ქრისტესთან თავიანთი შვილები და აქრისტიანებდნენ თითქმის ქმრებსაც.—

ასე იქნება ყმაწვილების აზრდაშიაც; თუ ქალებს რიგიანათ გავზრდით და გავანათლებთ, მაშინ დარწმუნეიული იყავით, რომ ხალხის ცხოვრების საქმე უკეთ წავა. ქალები ძლიერ კარგათ გაიგებენ, რომ განათლება და აზრდა გააუმჯობესებს მათ ყოფაცხოვრებასა და შეცვლის ეხლანდელ ცოლქმრობითი დამოკიდებულებას და ამიტომ ისინი ეცდებიან, რომ კარგათ გაზარდონ და გაანათლონ თავიანთი შვილებიც; ამ საქმის ასრულება რომ დედაზე უკეთ არავის შეუძლია,—ეს ჭეშმარიტებაა; მომავალი შთამომავლობის სიკეთე ყოველთვის დედებზედ არის დამოკიდებული.—

შემდეგში ჩვენ მოვილაპარაკებთ იმაზე—თუ რანაირი შკოლები და სწავლა არის ეხლა ყველაზე უფრო საჭირო ჩვენი მდაბიო ხალხისათვის.—

## სხვა და სხვა ამბავი.

„ხარკოვის უწყ.“ გვაცნობებს, რომ რაც აქ საქალაქო ფოჩტა გაიმართა, მას აქეთ აღარავინ ზოგავს რამდენსამე კაპეიკს, რომ აქეთ იქით მისწეროს ტყუილი ამბები და ჭორებიო. ჩვიან ქმრები, რომ ვინაცის რა ჭორები მოგვდის ჩვენ ცოლებზედაო; ცოლებსაც აგრეთვე მოზდით ჭორები ქრმებზე; ხან ქალწულებზედაც ვინ იცის რა ჭორებს აგდებენ და ისეთს წიგნებსა სწერენ, რომ მგონია თავის დღეში იმათ ყურებს არ გაეგონოთ იმისთანა ამბები.

ქალებს მიეცათ ნება ედინბურგის უნივერსიტეტში (ინგლიაში) მედიცინის ლექციებს სმენისა; მაგრამ იმათთვის ცალკე ოთახები იქმნება უნივერსიტეტის სადგომში დანიშნული.—

## ქ. ქუთაისის შემოსავალი 1869 წლისა,

დამტკიცებული მისის შუმღლესობის კავკასიის ნამესტნიკისაგან.

| | შემოსავალთ სახელები. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| 1 | საქალაქო ცარიელი ადგილებიდან. — — — — | 3,000 | „ |
| 2 | სასწორიდან და საზომავიდან. — — — — — — | 4,383 | „ |
| 3 | საკასპოდან. — — — | 1,600 | „ |
| 4 | რიონით ჩამოტანილ ტიეებიდან. — — — — — | 90 | „ |
| 5 | მკლარის ქვის სამტვრევი. | 300 | „ |
| 6 | უძრავი ქონების დაფაების. | 11,796 | 40 |
| 7 | სადუქნე ადგილების ღალა (თითოს 50 კაპ.). — | 237 | 50 |
| 8 | მღებრების (თითოს 15 მან.) | 105 | „ |
| 9 | $^1/_4$% (სარგებელი) აქციური ვაჭრების კაპიტალისა. | 1,500 | „ |
| 10 | $^1/_4$% (სარგ.) უცხო ქვეყნის ვაჭრების კაპიტალისა. | 627 | 25 |
| 11 | $^1/_4$% (სარგ.) დროებით აქ მყოფის ვაჭრების კაპიტალისა. — — — — — | 500 | „ |
| 12 | მოხელეებიდან (2 მან.) და ხელოსნებიდან (1-მან.) — | 850 | „ |
| 13 | პრიკასჩიკებიდან (2 მან.). | 100 | „ |
| 14 | მოსამსახურებიდან (თითოსაგან 50 კაპ). — — | 300 | „ |
| 15 | ყავახანებიდან (თით. 5 მ.). | 25 | „ |
| 16 | დუქნების (თითოს 12 მ.). | 1992 | „ |
| 17 | მეფურგუნეებიდან (თით. 5 და 10 მან.). — — — | 305 | „ |
| 18 | ლალაქების (4 მან.). — | 44 | „ |
| 19 | სასტუმროებიდამ (შემოსავალზე ჰკიდია). — — | 283 | $33^3/_4$ |
| 20 | ფაეტონებიდან (7 მან.). | 490 | „ |
| 21 | ვექსილებიდან და სესხის ბარათებიდან. — — — | 585 | 89 |
| 22 | აუქციონური გაყიდვიდან. | 60 | 95 |
| 23 | სააქციზო ღალა 20%.— | 3,253 | „ |
| 24 | ჯარიმის ფული. — — | 700 | „ |
| 25 | ძველი ვალიდან. — — | 15,850 | $57^1/_2$ |
| 26 | ადგილობრივი შემოსავლიდან შემწეობა პოლიციის შესანახავად. — — | 4,250 | „ |
| 27 | ზემსტვოს ჯამიდამ შემწეობა სამხედრო პირების უწინდელ სახლის ქირის გარდასახდელად.— — — | 12,505 | $64^1/_4$ |
| | ს უ ლ. . . | 65,732 | $74^1/_2$ |

## ქ. ქუთაისის გასავალი 1869 წლისა.

| | გასავალთ სახელები. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| 1 | პოლიციის ჩინოვნიკებისათვის — — — — — | 10,613 | „ |
| 2 | ქალაქის არხიტექტორს. | 975 | „ |
| 3 | პოლიციის მოსამსახურეების ტანისამოსისათვის. — | 525 | „ |
| 4 | პოლიციის სახლის შესაკეთებლათ. — — — — | 60 | „ |
| 5 | სახელმწიფო ქონების შესანახავი სახლის ქირა (სატუსაღოსთან) და სხვა საჭ. | 500 | „ |
| 6 | შეშა და სანთელი სატუსაღოში. — — — — | 2,028 | 50 |
| 7 | ქ. ხიდების მაყურებელთ და თხრილების გასაწმენდათ | 500 | „ |
| 8 | ქუჩების გაკეთება ქ ლაქის ცარიელი ადგილების წინ და ღარიბების ადგილების წინ. — — — — | 3,000 | „ |
| 9 | ქალაქის განათლებისათვის (100 ფარანი). — — | 3,300 | „ |
| 10 | ქუჩების გასაჩაღებლად და ილუმინაციისათვის დიდი უქმეების დროს. — — — | 600 | „ |
| 11 | ქუთაისის ბულვარისათვის. | 1,720 | „ |
| 12 | საღორიის ზედამხედველს და ორს ტყის აცველს. — | 250 | „ |
| 13 | ქუჩების სისუფთავის და თხრილების სიწმინდის ზედამხედველებს. — — — | 2,040 | „ |
| 14 | ბულვარის ახალი გალავნისათვის. — — — — | 1,500 | „ |
| 15 | სახლის ქირა სამხედრო პირებისათვის 1869წლამდი. | 12,505 | $64^1/_4$ |
| 16 | მოულოდნელი გასავალი; | 1000 | „ |
| 17 | ბლანკების, კვიტანციების და განცხადებების დასაბეჭდათ. — — — — — | 300 | „ |
| 18 | პოლიციის საათისათვის. | 112 | „ |
| 19 | 1869 წლის სახლის ქირა სამხედრო პირებს. — — | 7053 | „ |
| 20 | ქუჩის ფანრების და მათი სვეტების ფასი. — — — | 100 | „ |
| 21 | პოლიციმეისტერის სახლის ქირა. — — — — | 600 | „ |
| 22 | ქალაქის ექიმს — — — | 980 | „ |
| 23 | ბებიას — — — — — | 390 | „ |
| 24 | ფელშარს. — — — — | 200 | „ |
| 25 | ქუთაისის სატუსაღოს მწერალს და სტოროჟს — | 240 | „ |
| 26 | საკანცელარიო ხარჯად სატუსაღოს ზედამხედველს. | 57 | 14 |
| 27 | შოსსეს შეკეთებისათვის სამოქალაქო სახლების, ბულვარის, მაედნების და ღარიბების სახლების წინ. — | 1,600 | „ |
| 28 | ორდანის გასაწყობლად. | 60 | „ |
| 29 | სამხედრო მმართველობის ვალის გარდასახდელად, რომელიც აღებულია 1858 და 1869 წ. პოლიციის ასაშენებლად. — — — | 2,952 | $17^1/_7$ |
| 30 | პოდრიადჩიკს ზალინოვს სმეტის გარდა მუშაობისათვის პოლიციის აშენების დროს. — — — — — | 1,220 | „ |
| 31 | ზემსტვოს ვალის გარდასახდელად. — — — — | 712 | „ |
| 32 | სამხედრო უწყების ფულების გარდასახდელად, რომელიც დაიხარჯა 1866 და 1867 წ. არესტანტების სადგომის განათლებისათვის და გათბობისათვის. | 986 | „ |
| 33 | მომრიგებელი განყოფილ ბის შესაწევნად. — — | 300 | „ |
| 34 | პოლიციაში გაზეთების დაბარებისათვის. — — | 28 | 50 |
| 35 | პოლიციასთან შენობისათვის. — — — — — | 1,205 | $24^3/_4$ |
| 36 | საყანთროს აშენებისათვის. — — — — — | 929 | „ |
| 37 | ქუჩის ხიდების და თხრილებისა. — — — — — | 1000 | „ |
| 38 | ქალაქს მცხოვრებლების მაგიერ ხარჯს გარდახდა. | 362 | 44 |
| | ს უ ლ.— | 63,404 | 64 |

## ფოჩტა

თბილისიდან ფოჩტა მიდის: ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ერევანში და ჯულფისაკენ.—ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ბაქოს გუბერნიაში და შემახაში—მსუბუქი ფოჩტა.—ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ რუსეთში, ქუთაისში—ფოთამდინ, ერევანში, ალექსანდროპოლში და ნოიოზაიზეთში.—ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რუსეთში.—პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ—ქუთაისში, ქახეთში და ერევანში. შ ა ბ ა თ ო ბ ი თ—რუსეთში და შემახაში.—კ ვ ი რ ა ო ბ ი თ რუსეთში და ქუთაისში.

## ტელეგრაფი.

დეპეშის გასაგზავნი ფასი თბილისიდან: ქუთაისში, ბაქოს, ვლადიკავკაზს, ორპირს, ფოთს, ერევანს, ახალციხეს, ნუხას, შემახიას—1 მან.. ასტრახანს, ქერჩში, მოსკოვს და ოდესსას—2 მან.—ბორს, სიღნაღს—50 კაპ.—პეტერბურღს, ფენეკას, სტამბოლს—3 მან.—პარიჟს, ლიონს, მარსელს—3 მან. და 38 კაპ.—

## საავაჭრო ცნობები.

ყვირილისა და თბილისის შუა რკინის გზის რკინის ხიდების გასამართავათ არის საჭიროა 240,000 ფუთი სიმძიმის გადატანა.

სხვა და სხვა ხიდების იარაღების ზიდვა თავის დანიშნულს ადგილამდინ უნდა დაიწყოს ამ წლის ოქტომბრიდამ და ყოველთვე უნდა მიიტანებოდეს 40,000 ფუთი.

ამ ნივთებისათვის, რომელნიც ასს ფუთზედ მძიმე იქნება სახელმწიფო ურმები მიეცემათ.

ვისაც ამ პოდრადის აღება ჰსურს, იმან თავისი განცხადება უნდა გაგზავნოს ზაკაკაზიის რკინის გზების მუშაობის მეუფროსესთან ქუთაისში.

---

მთავარ სამართველოს უფროსის ნებადართვით ქავკაზიის აქეთა მხრის სახაზინო პალატაში 19 აგვისტოსთვის დანიშნულია ვაჭრობა მოლითის, ხარაგაულის, ყვირილისა და სიმონეთის სტანციების შეკეთებაზე. პოდრადის ფასი 3,879 მან. და 43 კაპეიკია.

ვაჭრობაში გარევის მსურველმა ადრეე უნდა შეიტანოს პალატაში თხოვნა და პოდრადის მესამედი-ბეთ, რომ დროზე მოასწრონ მათი გაშინჯვა.—

პირობაები და სმეტა პოდრადისა მსურველს შეუძლია ნახოს ქავკაზიის აქეთა მხრის პალატაში.—

## საბიბლიოგრაფიო ცნობა.

ახალად დაბეჭდილი პეტერბურღში თ. ილ. ჭავჭავაძის მოთხრობა

# „ქაცია-ადამიანი“

მიღებულია ჩვენში და იყიდება შემდგომ ქალაქებში:

თ ბ ი ლ ი ს შ ი—მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში.

ქ უ თ ა ი ს შ ი—უ. ზერასიმე ქალანდარიშვილთან.

ზ ო რ შ ი—უ. ქრისტეფორე მამაცაშვილთან.

ა ხ ა ლ ც ი ხ ე შ ი—უ. სტეფანე ბეთანოვთან.

ო ზ უ რ გ ე თ შ ი—უ. მიხეილ ქიქოძესთან.

ფ ა ს ი ა თ ი შ ა უ რ ი.

## იბეჭდება

პეტერბურღში და ამ ახლო ხანში გამოვა მოთხრობა დ. ჭონქაძისა

# „სურამის ციხე“;

აგრეთვე რუსთველის პორტრეთი, ფოლადზედ მოჭრილი სამზღვარს გარეთ.—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Августа, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.